კონკურენტული სადაზღვევო მოდელი, ნიდერლანდები, უნგრეთი და საქართველოს გამოცდილება

თეა კოკაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თეა კოკაია

2015 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს უნგრეთსა და ნიდერლანდებში თანამედროვე ჯანდაცვის რეფორმებს შორის მსგავსების და განსხვავების განხილვას და მათთან საქართველოში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმების პარალელების გავლებას. საქართველოში 2008 წელს წარმოიშვა იდეა რომ დანერგილიყო კონკურენტული სადაზღვევო მოდელი და მას შემდეგ აღნიშნული განიცდის ცვლილებებს ეტაპობრივად.